თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 13 თებერვალი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ერეკვნის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ბეტონის საფარით; ნიკო ფიროსმანის ქუჩის, ნიკო ფიროსმანის ქუჩისმე-3 შესახვევის, თავისუფლების ქუჩის მე-3 და მე-5 შესახვევის გზის ბეტონის საფარის და ღვარსადენი ქსელის; ირაკლი ჯანელიძის ქუჩის და მესხიშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ა/ბეტონის საფარის და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 27523 (ოცდაშვიდი ათას ხუთას ოცდასამი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1097. 06.02.2014)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 4 (ოთხი) პრეტენდენტმა:

1. ს.ს. „ხურო“ – 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.
2. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ – 12500 (თორმეტი ათას ხუთასი) ლარი.
3. შ.პ.ს „გეომეფი“ – 15556 (თხუთმეტი ათას ხუთას ორმოცდათექვსმეტი) ლარი.
4. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ – 15750 (თხუთმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2014 წლის 13 თებერვლის 13:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს:

ს.ს „ხურო"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „გეომეფი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

ს.ს „ხურო"-მ მიიღო - 38,1 ქულა.

ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-მ მიიღო - 46,65 ქულა.

შ.პ.ს „გეომეფი"-მ მიიღო - 45,45 ქულა.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი" მიიღო - 41,7 ქულა.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრმა: ანდრო მარჯანიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ერევნის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ბეტონის საფარით; ნიკო ფიროსმანის ქუჩის, ნიკო ფიროსმანის ქუჩისმე-3 შესახვევის, თავისუფლების ქუჩის მე-3 და მე-5 შესახვევის გზის ბეტონის საფარის და ღვარსადენი ქსელის; ირაკლი ჯანელიძის ქუჩის და მესხიშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ა/ბეტონის საფარის და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად დაგამვლინდა ინდ. მეწარმე „ბორის ქირია".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის (მალხაზ გასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა" და „მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი

ირაკლი გიორგაძე